ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

6 თებერვალი, 2013

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მარიამ კუბლაშვილი -კომისიის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

მაკა ჯაფარიძე- წევრი

აკაკი ჩარგეიშვილი - წევრი

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბუღალტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მარიამ კუბლაშვილმა, რომლმაც განაცხადა, რომ მის მიერ გადახედილ იქნა სარევიზიო კომისიის კოორდინატორის მიერ მიწოდებული დოკუმენტები და ასევე, ასოციაციაში განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით ფინანსური ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია.

წევრებმა თავმჯდომარესთან ერთად აღნიშნეს, რომ მათ მიერ ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა ძირითადი

საკვანძო საკითხები. სხდომაზე აქცენტი გაკეთდა რამოდენიმე მათგანზე, კერძოდ, წევრებმა იმსჯელეს:

1. სისხლის სამართლის კომიტეტის პროექტის შესახებ, რომლის მიხედვით განსაზღვრულია კომიტეტის მუშაობის 4 ძირითადი მიმართულება. დასახელებული საქმიანობის განხორციელების მიზნით, პროექტის თანახმად მოთხოვნილი იყო სათანადო დაფინანსება, რომელიც 2011 წლის ასოციაციის ბიუჯეტში განსაზღვრულია 15 000 (თხუთმეტი ათას) ლარით. წევრებმა განაცხადეს, რომ კომიტეტის მუშაობისთვის გამოყოფილი თანხის შესრულებულ სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მათ ესაჭიროებოდათ სისხლის სამართლის კომიტეტის მუშაობის შედეგი/ წლიური ანგარიში, თუ რა მოცულობით შესრულდა გეგმის მიხედვით გათვალისწინებული აქტივობები შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მითითებით.

2. სამოქალაქო სამართლის კომიტეტის პროექტის შესახებ, რომლის მიხედვით პროექტში განსაზღვრული იყო 3 ძირითადი მიმართულება, რომელთა განხორციელების მიზნით ასოციაციის 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 5000 (ხუთი ათასი) ლარი. მათ მოითხოვეს კომიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიშის წარმოდგენა და ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია.

3. 2011 წლის ასოციაციის ბიუჯეტის შესახებ. წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ბიუჯეტში არსებული ასოციაციის აპარატის სახელფასო ფონდზე. მათ განაცხადეს, რომ სრულყოფილი სურათის მისაღებად, თუ რამდენად არის ერთმანეთთან შესაბამისობაში თითოეული შტატისთვის განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ამ მიზნით დადგენილი სახელფასო სარგო, მათ სჭირდებოდათ ასოციაციის აპარატის თანამშრომლების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობები. წევრების მიერ აღინიშნა, აღნიშნული ინფორმაციის მიღებამდე, 2011 წლის ბიუჯეტის განხილვა შესაბამისი დასკვნების გამოტანის მიზნით, დროებით შეჩერდება.

სხდომის დასასრულს, კომისიის წევრებმა განმარტეს, რომ მ/წ 1 თებერვლის სარევიზიო კომისიის სხდომის გადაწყვეტილების თანახმად (ასოციაციაში აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი”-ს მიერ ადვოკატთა ასოციაციის აუდიტორული შემოწმების დაწყების თარიღად 11 (თერთმეტი) თებერვალის განისაზღვროს შესახებ), გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება კომპანიის წარმომადგენელთან –იური პაპასქუსთან.

სარევიზიო კომისიის შემდგი სხდომა ჩაინიშნა მ/წ 15 თებერვალს, 5 საათზე.

მსჯელობის შედეგად, სხდომაზე კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად) მიღებულ იქნა შემდეგი

დადგენილება:

1. სისხლის სამართლის კომიტეტის მუშაობისთვის გამოყოფილი თანხის შესრულებულ სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისიის წევრებს მიეწოდოთ სისხლის სამართლის კომიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში;

2. სარევიზიო კომისიის წევრებს მიეწოდოთ სამოქალაქო სამართლის კომიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში და ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია.

3. თითოეული შტატისთვის დადგენილი შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის და ამისთვის განსაზღვრული სახელფასო სარგოს ურთიერთშესაბამისობის დადგენის მიზნით, სარევიზიო კომისიის წევრებს მიეწოდოთ ასოციაციის აპარატის თანამშრომლების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობები.

4. გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი"-ს წარმომადგენელთან – იური პაპასქუსთან.

5. სარევიზიო კომისიის შემდგი სხდომა ჩატარდეს მ/წ 13 თებერვალს.

სხდომის თავმჯდომარე- მარიამ კუბლაშვილი

სხდომის მდივანი - მაკა ჯაფარიძე

წევრი - აკაკი ჩარგეიშვილი

წევრი - ანა ხარაიშვილი